სასოწარკვეთილი ქალი

სიმონ დე ბოვუარი

2015-06-18

სიმონ დე ბოვუარი

ცხოვრება – ქალების კადმით

«... და ქალის» ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ძნელაძემ**
რედაქტორი მაია ბურჭულაძე
კორექტორები: ნინო ბურჯანაძე, ნატა ენუქიძე
გარეკანის დიზაინი ნანუკა ჭყონია
კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან დაცაბიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2013

წიგნი გამოიცა საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში ფრანგული ინსტიტუტის ხელშეწყობით.

Originally published as LA FEMME ROMPUE by Simone de Beauvoir
© Editions GALLIMARD, 1967
Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication de I'Institut français

გამომცემლობა პალიტრა L
მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

თავდაჭერილობის ასაკი

ნუთუ ჩემი საათი გაჩერდა? არა, მაგრამ თითქოს ისრები აღარ მოძრაობენ. მათ არ შევხედავ. სხვა რამეზე ვიფიქრებ, თუნდაც, აი, ამ დიდაზე. აღელვებული და აღტყინებული ველი რაღაცას, თუმცა, ვგრძნობ – წინ მშვიდი და ერთფეროვანი დღე მელის.

გაღვიძებისას განცდილი აღმაფრენა... ანდრე მოკუნტული იწვა საწოლში, თვალები აეხვია, ხელი კი კედელზე მიედო, ბავშვივით. თითქოს სურდა, მშფოთვარე ძილშიც კი ეგრძნო ამქვეყნიური სამყაროს სიმყარე. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი და მხარზე ხელი დავადე. მან თვალებზე შემოხვეული ნაჭერი მოიშორა და შემომხედა. გაოგნებული სახე ღიმილმა გაუნათა.

– რვა საათია, – ვუთხარი მე.

საუზმე ბიბლიოთეკაში შევიტანე და გუშინ მიღებული და ნახევრად წაკითხული წიგნი გადავშალე. რა მოსაბეზრებელია ეს გაცვეთილი ფრაზები... – ადამიანები მდუმარებისათვის არიან განწირულნი და ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეუძლიათ. თუკი ვინმესთან საუბარი გვსურს, ასე თუ ისე, მიზანს ვაღწევთ. რასაკვირველია, ყველასთან ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ორ ან სამ ადამიანთან – უთუოდ. თუმცა, ხშირად იძულებული ვარ, ანდრეს ჩემი გუნება-განწყობა, სინანული თუ წვრილ-წვრილი საზრუნავები დავუმალო. რა თქმა უნდა, მასაც აქვს საიდუმლოებები, მაგრამ ერთმანეთთან მაინც გულახდილები ვართ... ფინჯნებში ძალზე მუქი, ცხელი ჩინური ჩაი ჩამოვასხი. ფოსტით მიღებულ წერილს ვკითხულობდით და ჩაის ვსვამდით. ოთახში თბილ ტალღებად იღვრებოდა ივლისის მზის ოქროსფერი სხივები. რამდენჯერ მივსხდომივართ ამ პატარა მაგიდას და სწორედ ამ ფინჯნებით დაგვიღევია ცხელი, მუქი ჩაი, რომელსაც ყოველთვის ახლავს სასიამოვნო მოგონებები და უცნაური მოღოდინისაგან გამოწვეული სიხარული. ხვალაც ასე მოვიქცევით, ერთი ან ათი

წლის შემდეგაც... ოცდაათი წლის ვიყავით, თუ სამოცის? ანდრე ნააღრევად გაჭაღარავდა. ადრე, მეჩვენებოდა, რომ თოვლივით თეთრი თმა შვენოდა და მისი შავგვრემანი სახის სინატიფეს უფრო კარგად წარმოაჩენდა. ახლაც ასე მგონია, თუმცა კანი დაუნაოჭდა, გაუუხეშდა და აექერცლა, მაგრამ მისმა ღიმილმა და თვალებმა ძველებური ბრწყინვალება შეინარჩუნეს. თავს ვიტყუებ... აღბომს ვათვალიერებ და ვრწმუნდები, რომ ის უკვე მოხუცდა. აღარა აქვს ახალგაზრდული იერი. ჩემი მზერა მის ასაკს არ ცნობს! ჩვენ დიდი ცხოვრება გვქონდა — ღიმილით, ცრემლებით, სიბრაზით, ტრფობით, აღიარებებით, დუმილით, მწველი ვნებებითა და ლტოლვით აღსავსე. ხანდახან მეჩვენება, რომ დრო გაჩერდა... მომავალი ისევ თვალუწვდენელ სიშორეში იკარგება.

ანდრე წამოდგა:

— წარმატებულ დღეს გისურვებ.

— შენც ასევე, — მივუგე მე.

აღარაფერი უთქვამს. ანდრეს მსგავსი მეცნიერების ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც ერთ ადგილს ტკეპნიან და ახალს ვერაფერს ქმნიან. ოდესღაც, ანდრე ამას ეგუებოდა, ახლა კი ძალიან დათრგუნვილია.

ფანჯარა გამოვაღე. პარიზში ასფალტისა და ქარიშხლის სურნელი ტრიალებდა, რომლის შთანთქმას ამაოდ ცდილობდა ზაფხულის სუდისშემხუთავი სიცხე. ანდრეს თვალი გავაყოლე... როცა ვხედავ, როგორ მშორდება, საოცრად მძაფრად ვგრძნობ, რომ ჩემ გვერდითაა... მისი მაღალი სილუეტი თანდათან პატარავდებოდა. თითქოს, ნაბიჯებით ხატავდა გზას, რომლითაც ისევ შინ უნდა დაბრუნებულიყო... თვალს მიეფარა. მომეჩვენა, რომ ქუჩა უკაცრიელი გახდა, სინამდვილეში, ეს იყო მაგიური ძალებით აღსავსე ველი, რომელიც ანდრეს ისევ ჩემთან, ჩვენს ბინაში, თავის სამყოფელში დააბრუნებდა. ეს რწმენა უფრო მაღელვებდა და მახარებდა, ვიდრე ანდრეს აქ ყოფნა.

დიდი ხანია, აივანზე ვდგავარ. მეექვსე სართულიდან პარიზის საკმაოდ დიდ ნაწილს ვაკვირდები. მტრედები სახურავებიდან ფრინდებიან და ცაში კამარას კრავენ. ეს ერთნაირი ყვავილის ქოთნები, სინამდვილეში, ბუხრის წითელ-ყვითელი საკვამური მიღებია. აი, წეროები... ხუთი, ექვსი, ათი... ათი უკვე დავთვალე. ღითონისებრი ფრთებით სერავენ ცის კამარას. ხელმარჯვნივ, მაღალ, დახვრეტილ კედელს მოვკარი თვალი. სინამდვილეში, ახალი, მრავალსართულიანი სახლია... პრიზმულ კოშკებსა და ახალაშენებულ ცათამბჯენებს ვუცქერ. როდიდან იქცა ედგარ კინეს ბულვარის მიწაყრილი ავტომანქანების სადგომად? ამ პეიზაჟის სიახლე თვალს მჭრის. არა მგონია, ასეთი რამ ადრე მენახოს. მსურს, წარსულსა და მომავალს ერთდროულად დავაკვირდე და სხვაობამ გამაოცოს, მაგრამ ამაოდ... გარესამყარო ჩემ თვალწინ მარადიულ აწმყოდ მოედინება. მაღლევე ვეჩვევი ამ სახეებს, რომლებიც, მგონი, არც კი იცვლებიან.

ჩემს მაგიდაზე დახვავებული კატალოგები და თეთრი ქაღალდები თითქოს სამუშაოდ მიწვევენ, მაგრამ თავში პეპლებივით დაფარფატებენ სიტყვები. ყურადღების მოკრებას ვერ ვახერხებ. «ფილიპი საღამოს მოვა»... — ვიმეორებ დაუსრულებლად. თითქმის ერთი თვეა, არ მინახავს. მის ოთახში შევედი. წიგნები, ქაღალდები, ძველი, ნაცრისფერი პულოვერი, იასამნისფერი პიჟამა და სხვა ნივთები ისევ

ისე ეწყო, როგორც მან დატოვა... ვერაფრით გადავწყვიტე ამ ძველი ოთახის გადაკეთება. არც დრო მაქვს, არც – ფული. არ მსურს, ეს ოთახი შეიცვალოს... არ მინდა, დავიჯერო, რომ ფილიპი მე აღარ მეკუთვნის...

ისევ ბიბლიოთეკაში შევედი. ოთახს ახალმოკრეფილი, საღათის ფურცლებივით ნაზი და სიფრიფანა ვარდების თაიგული სურნელით ავსებდა. გაოგნებული ვიყავი... ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ეს ოთახი და ბინა დაცარიელებულად და მიუსაფრად მომეჩვენებოდა. ყველაფერი თავის ადგილზე იდო. მზერით ვეალერსებოდი დივნებზე მიმოფანტული, მჭახე, თუ ბაცი ფერის ბალიშებს, პოლონურ თოჯინებს, სათამაშოებს – სლოვაკურ ყაჩაღებსა და პორტუგალიურ მამლებს... ყველაფერი თავის ადგილზე იდო. «ფილიპი აქ მოვა...» – ვიმეორებდი თავზარდაცემული. როდესაც სევდა მოგერევა, შეგიძლია იტირო და დამშვიდდე, სასიხარულო აღმაფრენას კი ასე ადვილად ვერ მოერევი...

გასეირნება მომინდა, ზაფხულის საამო სურნელით ტკბობა. ტროტუარს უდარდელად გვიდა მაღალი, შავკანიანი მამაკაცი – თვალებზე ჩამოფხატული ფეტრის რუხი ქუდითა და მოლურჯო-მოცისფრო უნიფორმით. ადრე, ამ ტროტუარს ერთი აღჟირელი გვიდა. ედგარ კინეს ბულვარზე ბაზრობაზე მიმავალი ქალების მწკრივს შევერია. დილით სახლიდან თითქმის აღარ გავდივარ და ეს ბაზრობა ძალზე საუცხოოდ მომეჩვენა. (ყოველ დილით, უცხო ზეცის ქვეშ, უამრავი ბაზრობა იმართება...) ვიღაც მოხუცი, ტანდაბალი ქალი კოჭლობით უახლოვდებოდა დახლებს. თმა უკან გადაეწია და ცარიელი კალათა ჩაებღუჯა. ადრე მოხუცებს ყურადღებას არ ვაქცევდი – ვფიქრობდი, რომ ისინი მოსიარულე ცხედრები არიან, რომლებსაც რაღაც სასწაულის ძალით, ისევ შეუძლიათ სიარული. ახლა კი თვალნათლივ ვხედავდი ჩემზე ხნიერ ქალებსა და მამაკაცებს, და ვგრძნობდი, რომ... ერთხელ, დავინახე, როგორ სთხოვდა ეს მოხუცი ქალი ყასაბს – ხორცის ნარჩენები ჩემი კატისათვის შემინახეთო. «კატისათვის! კატა არა ჰყავს! უნდა, რომ ხორცის ნარჩენებით, ნელ ცეცხლზე, ძველებური ბულიონი მოამზადოს,» – ჩაიქირქილა ყასაბმა, როცა ქალი წავიდა. სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს ყველაფერი. ქალს საყასბოს დახურვამდე უნდა აეკრიფა ხორცის ნარჩენები, თორემ მაღალი, შავკანიანი კაცი თავისი გრძელი ცოცხით მოხვეტდა და არხში ჩაყრიდა. მილიონზე მეტი ადამიანი იძულებულია, თვეში ასოთხმოციოდე ფრანკით გაიტანოს თავი. სამ მილიონზე მეტი კი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია...

ხილი და ყვავილები შევიძინე და ქუჩებში ხეტიალი დავიწყე. პენსიაზე გასვლა... ო, ეს ისე აუტანლად ჟღერდა!... როცა პენსიაზე გადიხარ, გეჩვენება, რომ ცხოვრება დასრულდა და უსარგებლო ნივთად იქეცი... ამის გააზრება ძარღვებში სისხლს მიყინავდა. ახლა იმდენი თავისუფალი დრო მქონდა, რომ მეშინოდა, იქნებ, მეც... არა, არა, ნამდვილად ვცდებოდი! თავისუფალი დრო მქონდა, რა საუცხოოა მიზნების, მისწრაფებებისა და ვალდებულებების გარეშე ცხოვრება! მიუხედავად ამისა, ხანდახან თავზარი მეცემა. მახსენდება ჩემი პირველი სამსახური, სტუდენტები, სოფელი, ჩემ ფეხქვეშ აშრიალებული შემოდგომის დამჭკნარი ფოთლები... პენსიაზე გასვლის დღე – რომელთანაც ჩემი განვლილი ცხოვრების თითქმის ორჯერ დიდი დროის მონაკვეთი ჰყოფდა, – ისე შორეულად და წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, როგორც სიკვდილი... მაგრამ ეს ავბედითი დღე ერთი წლის წინ მაინც დადგა... ადრე, ნაკლებად მძიმე პერიოდები მქონდა, ეს კი რკინის ფარდასავით უტყვი და უდრეკია.

შინ დავბრუნდი და ისევ მაგიდას მივუჯექი. საქმე არ მქონდა. მეჩვენებოდა,